1 ივნისს აღინიშნა ბავშვთა საერთაშორისო დღე!

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11(49) 2013 წ. 1-15 ივნისი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

11 ივნისი, 2013წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, გამგებლის მოადგილე ბესო მარტიაშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები ესწრებოდნენ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების უფროსმა **თამარ ბერიძემ** თათბირის მონაწილეებს ვრცლად გააცნო 2013 წლის 17 მაისს საქართველოს მთავრობის დადგენილება №114 – „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ამ ცვლილებების თანახმად სატელიტური ანტენა ამოღებულ იქნა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიიდან. შემდეგ ქ-ნმა თამარმა განმარტა: იმ შემთხვევაში, თუ სოციალურად დაუცველ ოჯახს დეკლარაციაში დაფიქსირებული აქვს სატელიტური ანტენა და ოჯახი მოითხოვს ამ საფუძვლით ოჯახის გადამოწმებას, სააგენტო ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება და ოჯახის მონაცემების კორექტირება. აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2013 წლის 1 ივნისიდან.

რწმუნებულების დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა ქ-ნმა თამარ ბერიძემ. კითხვები ძირითადად შეეხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის ხარისხიანობაზე ვრცელი ინფორმაცია გააკეთა აიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილემ **ხათუნა ჯანიაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა: – საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ზედაპირული წყლის კატეგორიას მიეკუთვნება, ამიტომ მისი ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული ამინდზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მთელი რიგი ტერიტორიული ორგანოების ტერიტორიაზე არსებული წყალი წინა წლებთან შედარებით, უკეთესი ხარისხისაა.

თათბირის მონაწილეებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა **ნიკო ჯავახიშვილმა** გააცნო ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის შპს „ლომთაგორას“ ფერმერთა დასახმარებლად ხორბლის გამოფენის გახსნის შესახებ, სადაც ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ ხორბლის საუკეთესო ჯიშების გაცნობისა და ფერმერულ მეურნეობაში გასავრცელებლად.

2014 წლის საყოველთაო სტატისტიკური აღრიცხვის წინა მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ რწმუნებულებს სამოქმედო გეგმა გააცნო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აღწერის დარგში ზედამხედველმა **მარიამ გზირიშვილმა.**

თათბირზე მოისმინეს ზეპირი ინფორმაციები მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არსებულ მდგომარეობაზე.

გილოცავთ!

დაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს პარლამენტის წევრს, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ქ-ნ **თინათინ ხიდაშელს.**

წარმატებები, წინსვლა და გამარჯვებები გქონოდეთ საქართველოსა და ჩვენი მუნიციპალიტეტის სასიკეთო საქმეებში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა; გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია.

• • • •

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

31 მაისის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას საკრებულოს 20 დეპუტატი, საკრებულოს თავმჯდომარე **ᲘᲚᲘᲐ ᲭᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ**, მისი მოადგილე **�პᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲖᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ,** გამგებლის მოადგილეები **ᲑᲔᲡᲝ ᲛᲐᲠᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და **ᲪᲘᲡᲛᲐᲠ ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ესწრებოდნენ.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი უძღვებოდა. სხდომის მონაწილეებმა სხდომის დღის წესრიგის I საკითხად მოისმინეს – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ***„ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“*** დაფუძნების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 31 მუხლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 35-ე მუხლის თანახმად, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ დაფუძნებისა და ფრაქციის თავმჯდომარედ **ᲑᲔᲚᲐ ᲙᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** არჩევის შესახებ.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ მოხსენება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა (თანამომხენებლები: თამარ უსტიაშვილი და ზურაბ ქურთიშვილი). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე–20–ე მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე ცვლილება შევიდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში და მისი მოცულობა განისაზღვრა 7476.6 ათასი ლარის ოდენობით. კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 1040.7 ათ. ლარით. მ.შ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გამოყოფილი 997,0 ათ. ლარით, დაიგეგმა მოსაკრებელი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის 2,4 ათ. ლარით, ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა გაიზარდა 41.3 ათ. ლარით, რომლის შემოსავლებმაც 2013 წლის 5 თვეში გადააჭარბა წლიური გეგმის 90 %–ს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები ასევე გაიზარდა 1040.7 ათ. ლარით. აქედან:

– საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯი გაიზარდა სულ 22.1 ათ. ლარით. აქედან: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ დაფუძნებასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით მოსარჩელე ქეთევან გილაშვილისათვის იძულებით გაცდენილი 3 თვის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურებისათვის ხელფასის მუხლი გაიზარდა 17,5 ათ. ლარით; საკრებულოს შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურების ფონდი გაიზარდა 1,1 ათ. ლარით; ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა–შენახვის ხარჯები გაიზარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 აპრილის ბრძანება №84 –ის საფუძველზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობებისა და ინვენტარის მიზნობრივი ექსპლუატაციისა და ვარგისიანობის კონტროლის სამუშაო–სარევიზიო ჯგუფზე“ გამოყოფილი 300 ლიტრი საწვავის შესაძენი 0,6 ათ. ლარით, საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაიზარდა კომპიუტერების შეძენაზე დამატებით გამოყოფილი 0,5 ათ. ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდა შპს „ტრანსპორტის“ გასული წლის მოგების გადასახადის დავალიანების დასაფარავად გამოყოფილი 2,4 ათ. ლარი.

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა 972,8 ათ. ლარით. მ.შ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში გამოყოფილი 952,8 ათ. ლარით. აქედან, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა–შენახვის ხარჯები გაიზარდა 515,8 ათ. ლარით, სანიაღვრე არხების აღდგენა–გაწმენდაზე გამოყოფილია 49,3 ათ. ლარი; წყალმომარაგების ხარჯები გაიზარდა 253,3 ათ. ლარით (მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე გამოყოფილია 20,0 ათ. ლარი); სკვერების მოწყობაზე გამოყოფილია 10,6 ათ. ლარი; კეთილმოწყობაზე – 138,5 ათ. ლარი; სპორტული მოედნების მოწყობაზე – 5,3 ათ. ლარი.

–აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისაგარეშე სასწავლო–საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მოთხოვნით სკოლამდელი დაწესებულებების სუბსიდიის მუხლი შემცირდა და გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი სოფ. ნინოწმინდის საბავშვო ბაღის სველი წერტილების მოწყობისათვის გამოყოფილი 6,0 ათ. ლარით.სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაიზარდა აგრეთვე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი 44,2 ათ. ლარით.

– აიპ №105 სასპორტო სკოლის სუბსიდია გაიზარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 30 აპრილის №30 განკარგულების საფუძველზე სპორტული სკოლის ბუღალტრის ხელფასის მოსაწესრიგებლად გამოყოფილი 1,7 ათ. ლარით.

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა* ᲔᲡᲛᲐ ᲢᲘᲖᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** (ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხილეთ გვ. 2-3)

როგორც ესმა ტიგინაშვილმა აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი იყენებდა ქონების პრივატიზების/სარგებლობის უფლების გადაცემის საჯარო აუქციონის წესს, რომლის დროსაც აუქციონი ცხადდებოდა ოფიციალურად მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებ-გვერდზე და გაზეთ „24 საათში“. იმისათვის, რომ აუქციონის პროცესი გამხდარიყო უფრო გამჭვირვალე და გაზრდილიყო მოსახლეობის ინფორმირებულობა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინა ეკონომიკის სამინისტროს და სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილება და ჩათვალა საჭიროდ, რომ ქონების პრივატიზება/სარგებლობის უფლებათა გადაცემისას გამოიყენოს ელექტრონული აუქციონის წესი, რომლის დროსაც ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, შემდგომში მონაწილე, რეგისტრირდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს eauction.ge ვებ გვერდზე.

დეპუტატებმა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შესყიდვის გეგმის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №91 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსმა* ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲫᲐᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**. სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც ცვლილებები შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №912 განკარგულებაში.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 აგვისტოს №52 განკარგულებაში ცვლილებების შეატანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის განყოფილების უფროსმა* ᲯᲣᲑᲐ ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲔᲚᲛᲐ** აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომაზე დეპუტატებმა ასევე განიხილეს სხვადასხვა საკითხები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡᲐᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲚᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

ᲛᲣᲮᲚᲘ1. ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

1.ეს წესი შემუშავებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ”საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს მუნიციპალური ქონების პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესს.

2.„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის„„სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალური ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებით/სარგებლობაში გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში- საკრებული).

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის (შემდგომში - მოძრავი ნივთი) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებული.

4.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების/სარგებლობაში გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების მიზანია საკუთრების/სარგებლობის უფლება მიენიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ელექტრონული ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების/სარგებლობაში გადამცემ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა პირობებით – საკუთრების/სარგებლობის უფლება მიანიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების/სარგებლობაში გადამცემ ორგანოს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

5. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო და სარგებლობაში გადასაცემი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი საფასური პრივატიზების განმახორციელებელი/სარგებლობაში გადამცემი ორგანოს მიერ დგინდება „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 სექტემბრის № 898 ბრძანებულების შესაბამისად.

6. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო და სარგებლობაში გადასაცემი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ბე–ს თანხა შეადგენს ქონების საწყისი გასაყიდი ფასის 30%–ს, ხოლო ბიჯი არანაკლებ 5%–ს.

7.ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალური ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ამ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

8.ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალური ქონების სარგებლობაში მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

9.ელექტრონული აუქციონი (ელექტრონული აუქციონი პირობებით) ცხადდებაპრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებით.

10.ელექტრონული აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია ელექტრონულ აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალურია.

ᲛᲣᲮᲚᲘ 2. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲐ

1.ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზებას ახორციელებს პრივატიზების/სარგებლობის უფლების გადაცემის განმახორციელებელი ორგანო.

2. მუნიციპალური ქონების პრივატიზების განმახოციელებელი/სარგებლობის უფლებით გადამცემი ორგანო, მუნიციპალური ქონების პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ინფორმაციას აქვეყნებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე -წწწ.საგარეჯო.გე ან/და ვებგვერდზე -წწწ.ეაუცტიონ.გე, რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება.

3.მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას გამოსაყენებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) პრივატიზების განმახორციებელი ორგანოს დასახელებას;

ბ) საპრივატიზებო ქონების დასახელებას;

გ) აუქციონის დაწყების და დასრულების დროს;

დ) საპრივატიზებო ქონების საწყის საპრივატიზებო საფასურს;

ე) უპირობო და გამოუხმობი საქანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობას;

ვ) აუქციონის ჩატარების პირობებს;

ზ) საპრივატიზებო პირობებს (ასეთი არსებობის შემთხვევაში);

თ) ბიჯის სიდიდეს;

ი) გამყიდველის საკონტაქტო ტელეფონს და დასადები ხელშეკრულების შინაარსს;

კ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც პრივატიზების განმახორციალებელი ორგანო ჩათვლის მიზანშეწონილად.

4.მუნიციპალური ქონების სარგებლობაში გადაცემისას, გამოსაყენებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) სარგებლობაში გადამცემი ორგანოს დასახელებას;

ბ) სარგებლობაში გადასაცემი ქონების დასახელებას;

გ) აუქციონის დაწყების და დამთავრების დროს;

დ)სარგებლობაში გადასაცემი ქონების საწყისი სარგებლობის საფასურს;

ე) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობას;

ვ) აუქციონის ჩატარების პირობებს;

ზ) სარგებლობაში გადაცემის პირობებს (ასეთი არსებობის შემთხვევაში);

თ) ბიჯის სიდიდეს;

ი) სარგებლობაში გადამცემის საკონტაქტო ტელეფონს და დასადები ხელშეკრულების შინაარსს;

კ) სარგებლობაში გადაცემის ვადას;

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

დასასრული

ლ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც სარგებლობაში გადამცემი ორგანო ჩათვლის მიზანშეწონილად.

5. მუნიციპალური ქონების შემძენს/სარგებლობის უფლების მიმღებს უფლება აქვს მიიღოს საპრივატიზებო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი მუნიციპალური ქონების შესახებ პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანოს ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული, ნებისმიერი ინფორმაცია.

6.ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საპრივატიზებო/სარგებლობის უფლებით გადასაცემ მუნიციპალურ ქონებას.

მუხლი 3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონით პრივატიზების/სარგებლობაში გადაცემის შესახებ განცხადების გამოქვეყნების ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 და არა უმეტეს 30 კალენდარულ დღეს, ხოლო მოძრავი ნივთის ან სხვა არამატერიალური სიკეთის პრივატიზების შემთხვევაში არანაკლებ 5 და არა უმეტეს 30 კალენდარულ დღეს. აღნიშნულ ვადებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანო.

2.ელექტრონული აუქციონი ტარდება გამოცხადების დღიდან განმკარგავი/სარგებლობის უფლებით გადამცემი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის განმავლობაში დაინტერესებულ პირებს,რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას ელექტრონულად, საშუალება ეძლევათ გააკეთონ სასურველი ფასის შეთავაზება, საწყის საფასურზე ბიჯის დამატებით.

3.ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) შესაბამის ვებგვერდზე დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება;

გ) „ინტერნეტ ბანკინგის" საშუალებით ასევე საბანკო დაწესებულების მეშვეობით ბეს თანხის გადახდა და/ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა.

4.მონაწილემ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვამუნიციპალური ქონების პრივატიზებისათვის/სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის მოწყობილ ელექტრონულ აუქციონში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უნდა წარმოადგინოსდა/ან ბე უნდა გადაიხადოს თითოეული მუნიციპალური ქონებისათვის ცალკ-ცალკე.

5.მონაწილეს შეუძლია უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:

ა) მონაწილე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს საპრივატიზებო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონებისმყიდველად/მოსარგებლედ.

ბ)დარღვეულია ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 4. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

1.ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირიელ ექტრონულ აუქციონში მონაწილეობისთვის რეგისტრირდება შესაბამის ვებგვერდზე, ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რის შემდეგაც მას ენიჭება აუქციონში მონაწილის სტატუსი.

2. ელექტრონული აუქციონიტარდებაონლაინრეჟიმში.

3. ელექტრონულიაუქციონისვაჭრობისდროსფასისმატებაჩანსონლაინრეჟიმში.

4. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი ვებ-გვერდზე გამოცხადების მომენტი.

5. აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინრეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას), რომელიც ასევე ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალური ქონება ითვლება გაყიდულად/სარგებლობის უფლებით გადაცემულად იმ აუქციონის მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

6. თუ აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 (ორი) წუთის განმავლობაში შემოთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შემოთავაზების დრო გაგრძელდება დასრულების მითითებული მომენტიდან 2 (ორი)წუთით. თუ ამ დროის განმავლობაში შემოთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 (ორი) წუთით მანამ, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა, მაგრამ თუ დამატებული 2 (ორი) წუთის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შემოთავაზებული, აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო თანხის შემთავაზებელი პირი.

7. აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე (არაუგვიანეს 2 /ორი/ წუთისა) ნებისმიერ დროს მონაწილეს შეუძლია გადაიხადოს ბე ან/და წარმოადგინოს საბანკო გარანტია. ბეს გადახდა შესაძლებელია უნაღდო ანგარიშსწორებით.

8. ვაჭრობის დასრულებისას გამარჯვებულსა და აუქციონის სხვა მონაწილეებს ელექტრონული გზით გაეგზავნებათ ინფორმაცია აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

9. აუქციონში გამარჯვებულს ელექტრონული გზით ეცნობება თანხის სრულად გადახდის თარიღი და ქონების გადაცემის პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

მუხლი5. გარიგებათა გაფორმების წესი

1. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იხდის საბოლოო თანხას. პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში – ელექტრონული აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. მყიდველმა აუქციონის გვერდზე მითითებულ საბანკო ანგარიშებზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლო ოფასს.

2. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების შემდეგ გამარჯვებული პირის მიერ თანხის მითითებულ ვადაში სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში მას ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და გადახდილი „ბე" უკან არ უბრუნდება.

3. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს "ბე" ეთვლება ანგარიშსწორებისას.

4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრების უფლება მყიდველს გადაეცემა ქონების საბოლოო ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვის და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ, პირობებით გამოცხადებულია უქციონის შემთხვევაშიკი საკუთრების მოწმობა გაიცემა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

5.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრების დამადასტურებელ მოწმობის ფორმას ამტკიცებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია:

ა) შეცვალოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი ან სხვა პირობები ნებისმიერ დროს და განათავსოს ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენის ვებგვერდს ანპრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის განმახორციელებელ ორგანოს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომხმარებლის რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ ბრძანების მოთხოვნათა დარღვევით;

დ) გააკონტროლოს ყველა მოქმედება მომხმარებლის მხრიდან და რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესაამისი ზომები.

2.პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია კანონით დადგენილი წესით გადასცეს აუქციონში გამარჯვებულს საკუთრების/სარგებლობის უფლება ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – საკუთრების/სარგებლობის უფლება ვალდებულებებთან ერთად).

3.მომხმარებელი უფლებამოსილია:

ა) გააკეთოს არჩევანი და შეიძინოს ქონება;

ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები;

4.მომხმარებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას აუქციონში მონაწილეობის წესები და პირობები;

ბ) პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადგენილ დროში გადაიხადოს შეძენილი/სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების ღირებულება.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

1.მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე ბეს გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე თანხის გადახდა შესაძლებელია როგორც საბანკო დაწესებულებაში, ასევე საკრედიტო ბარათის მეშვეობით, ასევე უპირობო და გამოხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის საშუალებით.

2.აუქციონის გვერდზე მომხმარებლისათვის ხელმისაწდომია ლოტის თანხის, ასევე ბეს გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელზე, ინფორმაციას ლოტის შესახებ (ლოტის საბოლოო ფასის მითითებით) და ინფორმაციას მიღების შესახებ, დასახელების და ანგარიშის/ანგარიშების ნომრების მითითებით. მომხმარებელი ირჩევს ერთ-ერთ ანგარიშს,ბეჭდავს ლოტის ფასის გადახდის ფორმას და აღნიშნული ფორმის საფუძველზე საბანკო დაწესებულებაში (საკუთარი საბანკო ანგარიშიდან) იხდის შესაბამის თანხას.

3.საკრედიტო ბარათით თანხის გადახდის შემთხვევაში, მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია ლოტის თანხის, ასევე ბეს ელექტრონული გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელზე, ინფორმაციას ლოტის შესახებ (ლოტის საბოლოო ფასის მითითებით) და ინფორმაციასმიღების შესახებ, დასახელების და ანგარიშის/ანგარიშების (მომხმარებელი ირჩევს ერთ-ერთ ანგარიშს) ნომრის მითითებით. მონაცემების სისწორის შემთხვევაში მომხმარებელი აჭერს გადახდის ღილაკს და შესაბამისად გადადის საკრედიტო ბარათის საგადასახადო სისტემაში, სადაც ავსებს საკრედიტო ბარათის მონაცემებს და ახორციელებს გადახდას.

4. ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მომხმარებელს ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება.

5.ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს ქონების ღირებულება აუქციონის პირობებში მითითებულ ვადაში, როს შემდეგაც ის მიიღებს სათანადო შეტყობინებას.

6.ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულს ბე ან/და საბანკო გარანტია დაუბრუნდება აუქციონის ჩატარების დღიდან არა უგვიანეს 7 საბანკო დღის ვადაში. ბე დაუბრუნდება იმ ანგარიშზე, საიდანაც მოხდა გადახდა.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტის წესი

1. ელექტრონული აუქციონის შედეგებთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ილია ჭიაურელი

საბავშვო ბაგა-ბაღი სერიოზულ რეაბილიტაციას მოითხოვს

ხაბავშვო ბაღის ეზოში

ნინოწმინდის ბაგა-ბაღის შენობა გასული საუკუნის 80-იან წლებში შ ე ვ ი დ ა ექსპლოატაციაში. აქ აღსაზრდელთა 6 ჯგუფი იყო. ბაგა-ბაღს ერთდროულად 150-160 ბავშვის მიღება შეეძლო.

ბაგა-ბაღში პირველ სართულზე იყო საცურაო აუზი, თუმცა ... დღეს...

მეორე სართულზე იყო სპორტული დარბაზი... თუმცა...დღეს...

მეორე სართულზეა საკონცერტო დარბაზი.

მოსაწესრიგებელია სველი წერტილები, რომლის მოსაწესრიგებლად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ 6 ათასი ლარი გამოყო, ამ თანხებს სოფლის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის 5 ათასი ლარიც დაემატა. მალე ოთხ ჯგუფთან ბაგა-ბაღის შენობაში სამი სველი წერტილის მოწესრიგება დაიწყება. პრობლემებს რა დალევს, ისიც ისეთ საბავშვო ბაღში, რომელსაც დღიდან გახსნისა, არასოდეს ღირსებია რემონტი. იყო პერიოდი, როცა ნინოწმინდის ტერიტორიაზე არსებული ნავთობკომპანია საბავშვო ბაგა-ბაღს 300 ლარს ურიცხავდა, მაგრამ ეს თანხაც მათ 2004 წლის სექტემბერში ნავთობკომპანიამ ნინოწმინდის ტერიტორიაზე არსებული მათი კუთვნილი ჭაბურღილის აფეთქების შემდეგ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და მას შემდეგ ბაგა-ბაღის ანგარიშზე 1 თეთრიც აღარ ჩაურიცხავს, ამ თანხით კი თანდათანობით ბევრ რამეს მოაწესრიგებდნენ: არ აქვთ სათამაშოები (შემოწირულობებით აქვთ რაც აქვთ), არ აქვთ აღმზრდელ-მასწავლებლის სკამი (ყუთები ასრულებს სკამის მოვალეობას), სკამები არც აღსაზრდელებისათვის არის საკმაო რაოდენობით, ჭურჭელი მშობლებმა შემოწირეს. შენობაში ერთი წყლის ონკანიდან მოედინება წყალი, ისიც მხოლოდ სამზარეულოში. ეზოში სკამების მაგივრობას კუნძები და ძველი რკინის კონსტრუქციები (30 წლის წინანდელი გასართობებიდან შემორჩენილი) უწევენ აღსაზრდელებს.

მენეჯერი მანანა ასრათაშვილი

დღეს ბაგა-ბაღში 70 აღსაზრდელი ჰყავთ. მათ აღზრდას ემსახურებიან აღმზრდელ-პედაგოგები: ხათუნა ბეჟიტაშვილი, თამარ ორკოშნელი, ციალა სუხაშვილი, ციალა თურმანაული, აღმზრდელის თანაშემწეები: ხათუნა თევდორაშვილი, ციცინო შიოშვილი, მზია მაისურაძე, ლია როსტომაშვილი, მუსიკის მასწავლებელი თინიკო მარიამიძე. ბაგა-ბაღის შენობას, თუ მოწესრიგებული იქნება, დღეს იმ 140 ბავშვის ერთად მიღება შეუძლია, რომლის ერთი ნაწილი ან სახლშია (უფრო მეტად უსახსრობის გამო გამოკეტილი), ან საგარეჯოს სხვადასხვა ბაგა-ბაღებში დაჰყავთ მშობლებს. ერთი მარტივი მიზეზების გამო: ბაგა-ბაღში დღესდღეობით არ არსებობს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

„ჩვენ სექტემბერში სკოლაში მივდივართ"

მანანა ასრათაშვილი ერთი წელია რაც ნინოწმინდის ბაგა-ბაღის მენეჯერია. მანამდე 13 წელი ბაგა-ბაღის აღმზრდელი იყო.

როგორც ბაგა-ბაღის მენეჯერმა მანანა ასრათაშვილმა გვითხრა: – ბაგა-ბაღში

დასასრული მე-5 გვერდზე

№11(49) 2013 წელი, 1-15 ივნისი

განათლება

სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები

2012-2013სასწავლო წლის კურსდამთავრებულთაგან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 29 კურსდამთავრებულმა სწავლაში წარმატებებისათვის ჯილდოდ ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. აი, ისინიც,

ჩვენი ოქროსმედალოსნები:

1. გიორგი მელიქიძე – უჯარმის საჯარო სკოლა;
2. მაგდა უსტიაშვილი – პატარძეულის საჯარო სკოლა;
3. სალომე გიუნაშვილი – პატარძეულის საჯარო სკოლა;
4. მარიამ სულიკაშვილი – საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლა;
5. მარიამ ზუკაკიშვილი – საგარეჯოს IV საჯარო სკოლა;
6. ლაშა დიაროვი – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
7. თენგიზ გოდერძიშვილი – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
8. ნინო ვარდიაშვილი – კაკაბეთის საჯარო სკოლა;
9. ქეთევენ მეიფარიანი – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
10. ნატო ონაშვილი – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
11. მაკა ქვრივიშვილი – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
12. ანა ჭიჭინაძე – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
13. ანა ბუჟღულაშვილი – ნინოწმინდის საჯარო სკოლა;
14. არსენ გორგაძე – ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი.

ვერცხლის მედალოსნები:

1. ნანა ავაქიშვილი – მანავის საჯარო სკოლა;
2. ბექა დაბახიშვილი – მანავის საჯარო სკოლა;
3. მარიამ მეკოკიშვილი – გიორგიწმინდის საჯარო სკოლა;
4. სოფიო ბილანიშვილი – პატარძეულის საჯარო სკოლა;
5. ლანა თევდორაშვილი – საგარეჯოს IV საჯარო სკოლა;
6. მაგდა ბალახაშვილი – საგარეჯოს IV საჯარო სკოლა;
7. ანა ბარამაშვილი – საგარეჯოს IV საჯარო სკოლა;
8. ანი ცინცაძე – საგარეჯოს IV საჯარო სკოლა;
9. დალი ტიგინაშვილი – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
10. ელენე ჩხიტაძე – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
11. მარიამ მეხაშიშვილი – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
12. ანა ხატიაშვილი – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
13. რუსუდან ბექიტაშვილი – წყაროსთავის საჯარო სკოლა;
14. ია დათუნაშვილი – წყაროსთავის საჯარო სკოლა;
15. ხატია გაგნიაშვილი – წყაროსთავის საჯარო სკოლა.

განათლება

ჩვენ უკვე მეგობრები ვართ

ლამბალოს საჯარო სკოლას არაერთი მეგობარი სკოლა ჰყავს ჩვენს რაიონში, რომლებთანაც დღესაც აგრძელებს მეგობრობას. ეს სკოლებია: საგარეჯოს №1 და №2 და სხვა. სულ ცოტა ხნის წინ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა" შემოგვთავაზა პროექტი „მეგობარი სკოლები". პროექტი გაგრძელდება ერთი წელი. იგი მიზნად ისახავს ლამბალოს საჯარო სკოლის მეგობრობას თბილისის №2 საჯარო სკოლასთან და მათ შორის გრძელვადიანი კავშირის ჩამოყალიბებას. პროექტის ამოცანებია:

ა. მოსწავლეებში ტოლერანტობის გრძნობის გაღვივება;

ბ. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ. სამოქალაქო აქტიურობის წახალისება მოსწავლეებში;

დ. მოზარდების ჩართვა კულტურულ-შემოქმედებით აქტივობებში.

პროექტი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე მოხდა მოსწავლეთა შერჩევა VII-VIII-IX კლასებიდან. შეირჩა 25 მოსწავლე და 5 მასწავლებელი. დაგეგმილი იყო სხვადასხვა აქტივობები. პირველი აქტივობა განხორციელდა 20-21 მაისს, რომელიც ითვალისწინებდა ლამბალოელი ბავშვების სტუმრობას თბილისში. მოსწავლეების შეხვედრა მოხდა თბილისის №2 საჯარო სკოლაში. გულთბილად შეხვდნენ თბილისელები ლამბალოელებს. მათთან შესახვედრად მოეწყოთ სპეციალურად გაფორმებული კედლის გაზეთები, გადაეღოთ მუსიკალური კლიპი, სადაც ჩანდა, თუ როგორ ემზადებოდნენ სტუმრების დასახვედრად. გაიმართა პატარა ზეიმი, რომელშიც ლამბალოს მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ. ბოლოს კი გაცვალეს სამეგობრო ბარათები. მცირე საუზმის შემდეგ თბილისელი და ლამბალოელი ბავშვები ერთად გაემართნენ ექსკურსიაზე. მათთვის მოეწყო ძველი თბილისის ტური. აღტაცებას და გაოცებას ვერ მალავდნენ ლამბალოელი მოსწავლეები:

რაჰმან ალიევი, ფატიმა ბაქიროვა, აიხან აბდულაევი, ჰანიფა ომაროვა, ჰათინ უსუფოვა, საბირ აშიროვი და სხვები. ალბათ ეს დადებითი ემოციები დიდხანს გაჰყვებათ ჩვენს მოსწავლეებს.

პროექტს ლამბალოს საჯარო სკოლიდან უძღვებოდნენ:

რუსუდან დუჩიძე, პროგრამის – ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" მონაწილე მასწავლებელი;

ცირა ქურხული, პროექტის – ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის" მონაწილე მასწავლებელი;

შაჰინ ხეირხაბაროვი, გეოგრაფიის მასწავლებელი;

თამუნა ნანუაშვილი, – ქართული ენის მასწავლებელი;

სიდონია გრძელიშვილი, – დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

პროექტის II ეტაპი 1 ივნისს გაიმართა.

რუსუდან დუჩიძე,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

ახალი სკოლის კონსტრუქციები უკვე გამოიკვეთა

მოსწავლეებს ისევ ორ ცვლაში მოუწევთ მეცადინეობა

იორმუღანლოს საჯარო სკოლა მოსწავლეთა კონტიგენტით ჩვენი მუნიციპალიტეტის უდიდესი სასწავლო დაწესებულებაა. 2012-2013 სასწავლო წლისათვის აქ 1150-ზე მეტი მოსწავლე ირიცხება. ამ სასწავლო წლის დადგომამდე, მოსწავლეებს მეცადინეობა ორ სასწავლო შენობაში ორცვლიან რეჟიმში უწევდათ, – გასული საუკუნის 60-იან წლებში აშენებულ, სამსართულიან კორპუსსა და აზერბაიჯანული დასახლების თავდაპირველი, მოძველებული და ავარიული სკოლის შენობებში. ქვეყნის მაშინდელმა მთავრობამ გადაწყვიტა ავარიული შენობის დემონტაჟი და მის ადგილზე ახალი, სამსართულიანი სასკოლო შენობის აშენება. ეს გადაწყვეტილება წლის დასაწყისში დიდი ზარ-ზეიმით აუწყეს კიდეც აქაურებს მაშინდელმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, პარლამენტის თავმჯდომარე დიმიტრი ბაქრაძემ და კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა, თანაც ჩვენს აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს შეპირდნენ, რომ ამ შენობას ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის გახსნიდნენ, მაგრამ როგორც შემდგომი მოვლენებით დადასტურდა, ეს მათი მხრიდან მორიგი საპარლამენტო არჩევნებისწინა დაპირება აღმოჩნდა. 2011-2012 სასწავლო წელი ისე მიიწურა, რომ არათუ ახალი სკოლის მშენებლობა, არამედ იმ ძველი შენობის დემონტაჟიც არ დაწყებულა.

ფაქტობრივად ამ შენობის დანგრევა მშენებლებს სკოლაში მიმდინარე გამოცდების პარალელურად უხდებოდათ.

ერთი სიტყვით, ახალი სასწავლო წელი ისე მოვიდა, რომ სკოლაში მოსულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მხოლოდ ძველი შენობის ადგილას გათხრილი საძირკვლის ფუნდამენტი დახვდათ.

ამის გამო, 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებისათვის სკოლის დირექციას ოთახების დაქირავება მოუხდა სოფლის ძველი ამბულატორიის ხის შენობაში მოსწავლეთა მეცადინეობის ჩასატარებლად. თუ რა პირობებში უხდებოდათ ამ შენობაში შეხიზნულ მასწავლებლებსა და მათ აღსაზრდელებს მეცადინეობების ჩატარება წლევანდელი ზამთრის გაუსაძლის პირობებში, ეს ცალკე საუბრის თემაა. ასეა, თუ ისე, მათ როგორღაც „გადააგორეს" ეს ზამთარი და მომავალს იმედიანად დაუწყეს ყურება, რადგან მშენებელი ორგანიზაციის შპს „ბაღდადმშენის" (უფროსი ნუგზარ ენდელაძე) მშენებლებმა ფუნდამენტის მომზადებიდან სულ რაღაც 2-3 თვეში უკვე მოასწრეს ახალი



სასკოლო შენობის სამივე სართულის ე.წ. მზიდი კედლების აშენება და სახურავის მომზადება, რომლის დათვალიერებაც ამ დღეებში შევძელით.

– ახალი სასკოლო შენობა არის მონოლითური შენობა, რომელზეც მარტო 35 ტონა მეტალი და ათეულობით კუბური მეტრი სამშენებლო ხსნარი გაიხარჯა, – გვიყვება ***იორმუღანლოს საჯარო სკოლის დირექტორი* ისლამ გაიბოვი, –** სადღეისოდ, როგორც ხედავთ, უკვე მომზადებულია სამივე სართული და მშენებლებმა სულ ახლახანს ჩამოხსნეს შენობის სახურავის ე.წ. „აპალოვკა". მშენებლობა ხორციელდება წილობრივი მონაწილეობის პრინციპით, – 580 ათასი ლარი გაიხარჯება სკოლის ბიუჯეტიდან, დანარჩენ 245 ათასს კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო დააფინანსებს.

შენობას ექნება დამრეცილი (ირიბი) ბრტყელი გადახურვა, რომლის საიზოლაციო საფარს მინიმუმ 10 წლის გარანტია აქვს. რაც შეეხება სართულების მიხედვით კლასების მოწყობას – აქ დაგეგმილია 12 საკლასო ოთახი, 9 ოთახი 45 კვ. მეტრის და სამი 20 კვ. მეტრის მოცულობით. დამატებით პირველ სართულზე მოწყობილია შემინული ადმინისტრაციული ოთახი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მშენებლებმა ამ დღეებში მოხსნეს III სართულის ბეტონის ჭერის სამაგრები; ამოშენებული და გალესილია I სართულის კედლები. ასევე ამოყვანილია მეორე სართულის კედლები და მალე მესამეზედაც დაიწყება ანალოგიური სამუშაოები, ისე, რომ თუ მშენებლები ცოტა კიდევ უფრო დააჩქარებენ მშენებლობის ტემპს, ამ ზაფხულს უნდა მოესწროს სკოლის კედლების ამოშენება და გალესვა მაინც. სამუშაოების დაჩქარება იმიტომაც არის საშური, რომ სკოლამ ახალი სასწავლო წლისათვის მოასწროს ახალი სასკოლო ავეჯისა და ინვენტარის შემოტანა, რომელიც უკვე გვაქვს გამოყოფილი. თუ მშენებლობა გაჭიანურდება, ჩვენ იმაზეც ვართ წამსვლელები, რომ მერხები შეუღებავ ოთახებში შევიტანოთ, ოღონდ გალესილი მაინც იყოს და სხვა სამუშაოები მერე, ნელნელა გაკეთდება. ჩვენმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა რა დღეებიც იმ ძველი ამბულატორიის შენობაში გამოიარეს, იმას ახალი შენობის შეუღებავ კედლებში ყოფნა ათასწილად აჯობებს.

– ახალ სასკოლო შენობაში გაზიფიცირებისა და გათბობის საკითხებიც თუ იქნება მოგვარებული?

– კი და მე როგორც სკოლის ხელმძღვანელს, მინდა, თუ ზემდგომი ორგანოები ნებას დამრთავენ, გაზი და გათბობა სკოლის დაფინანსებით ძველ შენობაშიც იქნას შეყვანილი.

– რაკი სკოლის მშენებლობის ეს ძირითადი საკითხი გადაწყდა, მომავალში ალბათ სხვა საკითხებიც დადებითად გადაწყდება. „ბაღდადმშენის" მშენებლები ამ ზაფხულს ალბათ ყველაფერს გააკეთებენ, რომ სასექტემბროდ სკოლა მზადყოფნით შეეგებოს აქაურ მოსწავლეებს. მისი მწყობრში შესვლის შემდგომ რამდენი მოსწავლე გაიუმჯობესებს სასწავლო პროცესს, ანუ რამდენ მოსწავლეზეა გათვლილი ახალი სასკოლო შენობა?

– როგორც აღვნიშნე, ამ სამივე სართულზე 12 საკლასო ოთახია, სადაც მეცადინეობა 540 მოსწავლეს შეეძლება, აქედან 270 პირველ ცვლაში, ამდენივე კი მეორე ცვლაში გვეყოლება.

– გამოდის, რომ სკოლა ისევ ორცვლიანი სისტემით იმუშავებს?

– კი, მოსწავლეთა კონტიგენტი სხვანაირად, ანუ ერთცვლიანი სისტემის მუშაობის საშუალებას არ იძლევა და მომავალში ეს პრობლემა უფრო მეტად იჩენს თავს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენთან მოსახლეობის ბუნებრივ მატებას. ისე, რომ ორი-სამი ათეული წლის შემდეგ. დღის წესრიგში ალბათ დადგება სხვა, უფრო დიდი სასკოლო შენობის აშენების საკითხი.

– ახალ სასკოლო შენობაში სპორტული დარბაზი თუ არის გათვალისწინებული?

– სამწუხაროდ, არაფერი მსგავსი აქ არ არის გათვალისწინებული და ჯერჯერობით არც სკოლის ეზოში იგეგმება.

– როგორც ირკვევა, სკოლის ეზოში სასმელი წყალი გაგიყვანიათ?

– კი, ეს სამუშაო აქ სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა. ადრე სკოლის საჭიროებისათვის წყლის მოტანა დაქირავებული მანქანებით გვიხდებოდა, ახლა კი სამი ონკანით დღის ნებისმიერ დროს შეუფერხებლად ვიღებთ სასმელ წყალს, რაზედაც მოთხოვნილება, მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე, დამერწმუნებით, რომ დიდია.

ესაუბრა გ. დაბახიშვილი

საბავშვო ბაგა-ბაღი სერიოზულ რეაბილიტაციას მოითხოვს

ნიკოლოზს შუადღის ძილით სძინავს

დასასრული

შვიდ სოციალურად დაუცველ ოჯახს ვერ მოჰყავს შვილი, ვერც ხუთშვილიან ოჯახს მოჰყავს სამი საბაღე ასაკის ბავშვი, რადგან ის 10 ლარიც, რომელიც გადასახადია თითოეულ ბავშვზე მშობლების მხრიდან – ოჯახის ბიუჯეტისათვის ცოტა არ არის. ჩვენთან კვება ორჯერადია და მშობლები კმაყოფილი არიან ჩვენი მენიუთი.

ბაგა-ბაღში ბუნებრივი აირის შემოყვანა 1700 ლარი დაჯდა, მაგრამ იძულებული ვიყავით სამზარეულოსთვის შემოგვეყვანა. ოთახებს ზამთარში შეშის ღუმელებით ვათბობთ. ჩვენი აღმზრდელ-მასწავლებლები ყველანაირად ცდილობენ აღსაზრდელს მისცენ ის, რაც სკოლამდელი აღზრდის

საცურაო აუზი (უმოქმედო)

დაწესებულებებს ევალებათ. მეცადინეობებთან ერთად ვცდილობთ ისინი გარე სამყაროს, ქრიასტიანობას გავაცნოთ. მოვაწყეთ ლაშქრობა წმინდა ნინოს მონასტერში. ექსკურსიაზე იყვნენ თბილისში – სამებაში, მცხეთაში – ჯვარზე, მარტყოფში – ღვთაებაში. დაათვალიერეს ზოოპარკი...

ბაგა-ბაღის შენობა, ეზო-გარემო მართლაც რომ ძალიან კარგია, მაგრამ შენობას, თქვენ თავად ნახეთ, რამდენი რამ სჭირდება. მართალია თებერვალ-მარტში საბავშვო ბაგა-ბაღის სახურავი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ახალი გადახურვით შეიცვალა (რამაც შეაჩერა წვიმის და თოვ-

სპორტული დარბაზი (უმოქმედო)

ლის წყლის ჩამოსვლა II და I სართულებზე), მაგრამ შენობას სერიოზული რემონტი სჭირდება...

ხამლოცველო კუთხე

რამდენადაც კურიოზული არ უნდა იყოს, შენობაში კანალიზაციის მილები (სარდაფზე გამავალი) ავის მოსურნემ მოიპარა და სანამ სარდაფი ფეკალიებით არ გადაივსო, ვერავინ გაიგო...

როგორც აიპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის და სკოლისგარეშე მუშაობის გაერთიანების დირექტორმა ელზა გილაშვილმა გვითხრა, აღნიშნული ბაგა-ბაღის სველი წერტილების მოწესრიგების საკითხი პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი. სველი წერტილების მოწესრიგების სამუშაოებიც ზაფხულში დაიწყება და იმედოვნებს, რომ ის, რაც არ გაკეთებულა აღნიშნულ ბაგა-ბაღში თითოეული წლის განმავლობაში,

მზარეული შორენა წითური

აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, რადგან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს დიდი მისია აკისრიათ მომავალი თაობების აღზრდა-განვითარების საქმეში. სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ახალი სასწავლო პროგრამით იწყებს მუშაობას, რომელსაც კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სჭირდება.

3-4 წლიანების ჯგუფი – შუადღის ძილს თავს არიდებენ

ბანათლება

ჯილდოები „ჩაღლარის“ რესპუბლიკური ოლიმპიადიდან

როგორც ცნობილია 23 მარტს, თურქეთის ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და ქალაქებში ჩატარდა IV რესპუბლიკური ოლიმპიადა მათემატიკაში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების IV კლასელებისათვის. სხვებთან ერთად, ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ იორმუდანლოს საჯარო სკოლის აღნიშნული კლასების მოსწავლეები, რომელთაგანაც წარმატებას მიაღწიეს ამინე გურბანოვამ და ელვინ გაჯიევმა. ამ წარმატებისათვის აღნიშნული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სიგელებით, სკოლას კი საჩუქრად პრინტერი გადაეცა.

ბ. დაბახიშვილი

ნატო ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი და პატარა ჟურნალისტია. მის ნაწერებს ყოველთვის ინტერესით ველოდით. დღეს ნატო აბიტურიენტია.
წარმატებებს ვუსურვებთ!

წინ უფრო საინტერესო ცხოვრებაა

ადამიანის ცხოვრება ძალიან საინტერესოა. იგი რამდენიმე ეტაპისგან შედგება. ცოტა ხნის წინ დამთავრდა ერთერთი უსაყვარლესი – სკოლის პერიოდი. ყოველთვის კარგად გამახსენდება ეს 12 წელი, ბავშვები, მასწავლებლები, სკოლის გარემო. მე ყოველთვის ძალიან მიყვარდა ეს ყველაფერი, იმიტომ კი არა, რომ ბეჯითი მოსწავლე ვიყავი (ბეჯითი სულაც არ ვყოფილვარ), იმიტომ, რომ აქ ძალიან ბევრი ძვირფასი დრო გავატარე. როგორ შეიძლება სიხარულითა და სიყვარულით არ გავიხსენო ეს პატარა კედლები, ბავშვების მომღიმარი სახეები, საკონტროლოსწინა დაძაბულობა და თითოეული ხალასი წამი. რაღა თქმა უნდა, ვიტყვი, რომ მადლიერი ვარ მასწავლებლების. თითქმის ყველაფერი კარგად მახსენდება. მე მართლა მიყვარს ეს ადამიანები, მათი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით.

გული არაფერზე მწყდება, რადგან ყველაფერს თავისი დრო აქვს. მადლიერი ვარ ღვთისა, რომ მომეცა ამ ულამაზესი წლებით ტკბობის ბედნიერება. მთელი სულითა და გულით მომენატრება ეს სიტუაციები, მხიარული და ნამდვილი, რომლებიც აღარასოდეს განმეორდება. მაგრამ, ვფიქრობ, ახლა მთელი ყურადღება ცხოვრების ახალი ეტაპისკენ უნდა მივმართო.

აბიტურიენტებს წინ ეროვნული გამოცდები გველის. ამ გამოცდებზე გადაწყდება – ვინ და როგორ ვიქნებით მომავალში

ნატო ონაშვილი,
საგარეჯოს II საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, აბიტურიენტი

კურსდამთავრებულები

ცხოვრების ახალ გზაზე

საგარეჯოს №2 საჯარო სკოლაში საზეიმოდ დაირეკა „ბოლო ზარის“ მაუწყებელი ზარი. უკან დარჩა მღელვარებით აღსავსე საბანკეტო დღეები. ახლა სხვა „დღის რეჟიმით“ ცხოვრობენ კურსდამთავრებულები. ამ დღეებში გავესაუბრეთ საგარეჯოს II საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს, და-ძმა ელენე და ლევან ჩხიტაძეებს, რომლებიც საქართველოში პოლონეთიდან რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდნენ და სწავლა ამ სკოლის VII კლასიდან განაგრძეს.

– რას გრძნობთ ახლა, როცა ყოველდღიურობიდან „ამოვარდა“ სკოლაში წასვლა, გაკვეთილების მომზადება.

ელენე: – ერთი მხრივ ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ყოველ დილით 8 საათზე ადგომა აღარ მომიწევს, მაგრამ მომენატრება გაკვეთილებზე დასწრება და ბავშვებთან ყოფნა.

ლევანი – ძალიან მიხარია, ვგრძნობ, ჩემს ცხოვრებაში რაღაც ახალი იწყება.

– დღეს რას გაიხსენებთ ყველაზე კურიოზულს თქვენი სასკოლო ცხოვრებიდან?

ელენე: – კურიოზული ის იყო, რომ მეშვიდეკლასელი, დაწყებითი კლასის მოსწავლესავით ვკითხულობდი ქართულს. სამაგიეროდ, ინგლისურის და რუსულის გაკვეთილებზე ვგრძნობდი თავს ყველაზე კარგად. ენა ძალიან სწრაფად ავითვისე, თუმცა დიდი ხანი ვერ ვხვდებოდი, როდის უნდა მეხმარა სიტყვები „ამოვალ“ და „ჩამოვალ“, რაც სასაცილო მდგომარეობაში მაყენებდა. ბოლოს ისევ ბავშვებმა მირჩიეს, უბრალოდ მეთქვა „მოვალ“.

ლევანი: – რუსულში სიტყვების გამოკითხვა გვქონდა. რუსული და პოლონური მონათესავე ენებია და ამის წყალობით ყველას ვთარგმნიდი ისე, რომ წიგნი არც ამიღია ხელში. ბოლოს მასწავლებელმა მკითხა: „ხახვი როგორ არის რუსულადო“. მე თამამად ვუპასუხე: „ტე-

ბელა“, მეგონა, აქაც გამიმართლებდა. მასწავლებელი და ბავშვები მიმიხვდნენ ეშმაკობას და ბევრი იცინეს.

– როგორ გესახებათ მომავალი, რას აპირებთ?

ელენე: – დიდი სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო დიდ ბრიტანეთში და გავხდე იურისტი. უარს არც მომღერლობაზე ვიტყოდი.

ლევანი: – ამ შემოდგომით პოლონეთში მივდივარ და იქ ვაპირებ სწავლას ინფორმატიკის განხრით.

– მომავალი პროფესია?

ელენე: – იურისტი.

ლევანი: – ჯერ არ ვიცი.

– რას უსურვებთ თქვენს თანატოლებს?

ელენე: – უმაღლეს სასწავლებელში წარმატებით ჩაბარებას და სურვილების ასრულებას.

ლევანი: – ყველას გვაქვს ჩვენი ოცნება, ვუსურვებ ამ ოცნებების ასრულებას.

ესაუბრა სოსო ძვლიანიძე

ახალი ცვლა

სკოლისკენ გააცილეს

ივნისის იმ ლამაზ დღეს კაკაბეთის №1 საბავშვო ბაღის 28-ე გამოშვების აღზრდილებს სკოლისკენ მიმავალი გზა დაულოცეს ბაღის მენეჯერმა ლეილა ამბარდნიშვილმა, აღმზრდელმა ნელი მგალობლიშვილმა, მუსიკის მასწავლებელმა მარეხ ღვინაშვილმა და ყველამ, ყველამ, ვინც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში აღზრდილების სასკოლო მომზადების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. აქ ისინი მეცადინეობდნენ, სწავლობდნენ, ეცნობოდნენ ქართულ ტრადიციებს, წესჩვეულებებს, მართლმადიდებლობას, ერთმანეთის სიყვარულს, მეგობრობას, მთელი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ სასკოლო ცხოვრების დასაწყებად. მოწვეულ სტუმრების წინაშე თავინთი ნიჭითა და შესაძლებლობებით წარსდგნენ: მარიამი, ვაკო, ეთუნა, ვაჟიკო, გვანცა, ანა-მარია, მათი ჯგუფელები და მართლაც უდიდესი სიამოვნება მიანიჭეს მაყურებლებს მარეხი მასწავლებელთან ერთად შესწავლილი სიმღერებითა და ცეკვებით, თავიანთი საკონცერტო ნომრებით.

ჩვენც, მათ გამოსაშვებ ზეიმზე მოწვეული სტუმრები ვუერთდებით მათი აღმზრდელების სურვილებს და გზას დავულოცავთ სკოლისკენ მიმავალ ამ პატარებს.

სონიკო მჭედლიშვილი
კაკაბეთი

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲐᲠᲩᲣᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

24-26 მაისს საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში ყოფილი სსრკ პრიზიორის (ჭაბუკებში), მრავალი რესპუბლიკური ტურნირის ჩემპიონისა და პრიზიორის, სპორტის ოსტატ მიხეილ არჩუაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

შეჯიბრება ჩატარდა ორ – 1997-98 და 1999-2000 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში, როგორც ჭაბუკ მოჭიდავეებში, ისე გოგონებში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრისა და 77-ე სკოლის, აფხაზეთის, ონის, ბაღდათის, კასპის, ხარაგაულის, გორის, ბოლნისის, რუსთავის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ნინოწმინდის, საჩხერის, ხონისა და საგარეჯოს მოჭიდავეთა გუნდები. შეჯიბრებას მთავარი მსაჯის რანგში სჯიდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტარიელ როსტომაშვილი, რომლის დამსახურებითაც, ახალი წესებით ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა.

ორდღიანი პაექრობის შემდეგ საგარეჯოელთაგან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ნიკა მესროფოვი (46კგ), მიხეილ ბოჭორიძე (50კგ), გიგა შიოშვილი (69კგ), და ნუნუ ლონდარიძე (63კგ). ასევე მეორე ადგილზე გავიდა ლაშა ჩახმახაშვილი (35კგ); მესამე ადგილები დაიკავეს: ნიკა კევლიშვილმა (46კგ), გიორგი ბურჯანაძემ (50კგ), დავით მარტაშვილმა (58კგ), ლევან კანჯარაშვილმა (76კგ), ერეკლე მეკოკიშვილმა (76კგ), ხატია კევლიშვილმა და ხატია მინდიაშვილმა (ორივე (48კგ).

ტურნირზე გათამაშდა მიხეილ არჩუაძის დისშვილის გიორგი სადაღიშვილის, ბიძაშვილის შვილის სოსო არჩუაძისა და ძაგული მათიაშვილის მიერ დაწესებული მიხეილ და ოთარ არჩუაძეების, არსენ მეკოკიშვილის, გიორგი გზირიშვილის, გიგლა ბუზარიაშვილის სახელობის პრიზები, რომლებიც გადაეცათ გიგა შიოშვილს, მიხეილ ბოჭორიძეს, ნიკა მესროფოვს, ბიძინა ინაშვილს და ნუნუ ლონდარიძეს.

შეჯიბრების მსვლელობისას კახეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ კენჭოშვილმა ოქროს მედლები, სიგელები და გარდამავალი თასი გადასცა თავისუფალ ჭიდაობაში კახეთის რეგიონულ გუნდურ პირველობაში ამასწინათ გამარჯვებულ საგარეჯოს ნაკრებ გუნდს.

ასპარეზობას მთელი მსვლელობისას ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ლევან თედიაშვილი.

გივი დაბახიშვილი

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში აპრილში დასრულებულ რვაწლამდელთა ჩემპიონატში ბიჭებს შორის ერთპიროვნულად იზეიმა გამარჯვება ლევან დალბაშვილმა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 7.5 ქულით (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი).

31 მაისს ქართველმა გულშემატკივარმა კახი კალაძე ფეხბურთიდან გააცილა. უეფას ჩემპიონთა ლიგის, სუპერთასის, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონის, სკუდეტის, უკრაინისა და საქართველოს ჩემპიონატების და მრავალი სხვა ტიტულის მქონე ფეხბურთელმა ამ დღეს ბოლოჯერ გაცვალა სამოქალაქო ფორმა საფეხბურთო მაისურზე.

შეიძლება ითქვას, რომ როგორც მოსალოდნელი იყო ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალური სტადიონი თითქმის სავსე იყო. გამოსამშვიდობებელ მატჩს „კალაძე და მეგობრები" ბადიაურის, ნინიოწმინდის, კაკაბეთის სკოლის მოსწავლეებიც დაესწრნენ, სპორტის მასწავლებელ მალხაზ ნიჟარაძესთან ერთად. ბავშვების მოლოდინი გამართლდა და მართლაც კარგი ღონისძიება გამოვიდა. როდესაც მოედანზე ფრანკო ბარეზი, პაოლო მალდინი, ფაბიო კანავარო და მსოფლიო ფეხბურთის სხვა ვარსკვლავები თამაშობენ პრინციპში შეუძლებელია ზეიმი არ შედგეს. მატჩის დაწყებამდე სცენაზე ბერა ივანიშვილი ავიდა, მან რამდენიმე სიმღერა და თბილი სიტყვა მიუძღვნა კალაძეს. შემდეგ მონიტორზე კახაზე მომზადებული ფილმი გავიდა. გულშემატკივრები ყველაზე ემოციურად კანავაროს, მალდინის და გიორგი ქინქლაძეს შეხვდნენ.

გამოსამშვიდობებელი მატჩის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოთამაშეები შედეგის მისაღწევად თავს დიდად არ იტვირთავდნენ. ახალგაზრდა გულშემატკივრებს ყველაზე ძალიან ტაიმებს შორის დადგმული ფლეშმობი მოეწონათ. ანგარიშს რაც შეეხება, შეხვედრა მილანელთა გამარჯვებით, 1:3 დასრულდა.

.... ამის შემდეგ იყო ბევრი ჩახუტება და ცრემლი. სიტყვით გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მილანის ვიცეპრეზიდენტი ადრიანო გალიანი და თავად კახა კალაძე. მისი სიტყვები საკმაოდ ემოციური იყო, რომლიდანაც ყველაზე დასამახსოვრებელი ალბათ მაიც ეს სიტყვები იყო: „მინდა ერთი პატარა საიდუმლო გაგიმხილოთ. ისე დავამთავრე საფეხბურთო კარიერა, დედაჩემი არასოდეს ყოფილა სტადიონზე, ჩემს არც ერთ თამაშს არ დასწრებია. დღეს ის პირველად იმყოფება ჩემთან ერთად თბილისის დინამოს სტადიონზე. მინდა ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა მას. დედა, გიხდი დიდ მადლობას იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთე. მე ალბათ ამისთვის მადლობას ვერასოდეს გადაგიხდი, მაგრამ იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ".

ბოდიშს გიხდით სუბიექტურობისთის, მაგრამ კალაძე ჩემთვის თანამედროვეობის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელია, რომელიც ჩვენს ქვეყანა მსოფლიოს აცნობდა. ჩემი, როგორც რიგითი გულშემატკივარის, დამოკიდებულების შეცვლა მის მიმართ წარმოუდგენელია, ავტოგოლების მიუხედავადაც კი...

მოკლედ, დიდი მადლობა კალა!

ანანო ათაბეგაშვილი,
სოფ. ბადიაური

ᲛᲐᲢᲩᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲖᲐᲖᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲡᲔᲜᲐ

ზაზა ღვთისავრიშვილის (ცუცუნა), როგორც ფეხბურთელის სახელი კარგად არის ცნობილი მისთვის, ვინც კი ოდნავ მაინც არის ჩახედული გასული საუკუნის 80-იანი წლების გარეჯული ფეხბურთის ისტორიაში. 1968 წლის 25 მაისს საგარეჯოში დაბადებულს, დამთავრებული ჰქონდა საგარეჯოს I საშუალო სკოლა და პოლიტექნიკური ტექნიკუმი. როგორც ფეხბურთელმა ფეხი თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში აიდგა. შვიდ წელს თამაშობდა „გარეჯის" მარცხენა ნახევარმცველად, იყო წნორის, „ერწუხის" (II და I ლიგა) მოთამაშე, თბილისის „მერანის" მარცხენა ნახევარმცველი. ახლა კი მის შეწყვეტილ სიცოცხლესა და ფეხბურთელობას მისი ვაჟი ნიკა ღვთისავრიშვილი აგრძელებს.

დიახ, უდროოდ დასცილდა ამ წუთისოფელს ზაზა ღვთისავრიშვილი, მაგრამ მისი ხსოვნა არ განელებიათ მის ახლობლებსა და „გარეჯის" თანაგუნდელებს. ამის დასტური გახლდათ რამაზ ტეტიაშვილის, ზვიად კუჭუაშვილისა და რეზო ხებრელაშვილის ორგანიზებით 26 მაისს საგარეჯოში „გარეჯის" ვეტერანი და და ახალი თაობის ნორჩ ფეხბურთელთა შორის გამართული ამხანაგური მატჩი, რომელიც მის ხსოვნას მიეძღვნა. ამ თამაშში აღნიშნულ ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად გამოდიოდნენ ზაზას თანაგუნდელები: ზაზა ქარსაულიძე, კახა სტეფანიშვილი, გია ილაური, გოგა მაისურაძე, ვალერი ძამუკაშვილი, მერაბ ქურდიანი, კახა მარიდაშვილი, დათო მაისურაძე, ელგუჯა კონიაშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი მეტოქე 2000 წლიან „გარეჯის" გუნდში მარცხენა ნახევარმცველად გარდაცვლილი ფეხბურთელის ვაჟი – ნიკა ღვთისავრიშვილი თამაშობდა. დიდებისა და პატარა გარეჯელების ეს შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, სადაც ზვიად კუჭუაშვილის მიერ დაწესებული ზაზა ღვთისავრიშვილის სახელობის თასი მის ვაჟს – ნიკა ღვთისავრიშვილს გადაეცა. ზაზა ღვთისავრიშვილის ოჯახის მიერ დაწესებული საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ზვიად კუჭუაშვილს ხვდა წილად.

იმავე დღეს ზაზა ღვთისავრიშვილის ხსოვნის პატივსაცემად ჩატარდა პატარების ოთხთა ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც საგარეჯოს სამი და ნინოწმინდის ერთი გუნდი მონაწილეობდა. ამ ტურნირში იმარჯვა „გარეჯის" (2000 წლიანები) გუნდმა და საგარეჯოს სპორტგაერთიანების დაწესებული პრიზი კვლავ ნიკა ღვთისავრიშვილს გადაეცა.

როგორც ამ მატჩების შემდგომ ჩვენთან რეზო ხებრელაშვილმა აღნიშნა, ზაზა ღვთისავრიშვილის ხსოვნის ტურნირებს ყოველწლიური ხასიათი მიეცემა და მაისის თვეში ჩატარდება. ასევე, საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებაა, მომავალში ნაატარონ „გარეჯის" ყოფილი ფეხბურთელების ლევან თულაშვილისა და სულიკო სტეფანიშვილის ხსოვნის ტურნირები. ტურნირების მოთავე და ინიციატორები ასევე დიდ მადლობას უხდიან საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექტორს გია მაისურაძეს და ელგუჯა კონიაშვილს ამ მატჩების გამართვაში დახმარებისა და ხელშეწყობისათვის.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐ!

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს, პატარა მოჭადრაკეების აღმზრდელსა და დამკვალიანებელს, გამოცდილ მწვრთნელს, არაერთი წარმატებული მოჭადრაკის აღმზრდელს **ᲔᲚᲔᲜᲔ ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, ვუსურვებთ სიკეთეს, ახალ-ახალ პროფესიულ გამარჯვებებს და პირად ცხოვრებაში გამართლებას.

ᲐᲘᲠ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ

ᲠᲝᲘᲜ ᲧᲝᲠᲦᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ XIII ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ

29-30 მაისს საგარეჯოს საჭიდაო არენაზე წელს უკვე მეცამეტედ ჩატარდა საგარეჯოელი სამბისტის, ყოფილი სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის როინ ყორღანაშვილის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. როინ ყორღანაშვილმა თავისი სპორტული მიღწევებითა და სამწვრთნელო მოღვაწეობით, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში მოიპოვა სამბოს გარეჯელი მოყვარულების პატივისცემა და სიმპათიები. მის სპორტულ შედეგებს თავი რომ დავანებოთ, ერთ სახელად მარტო ის ეყოფოდა, რომ მისი გაზრდილ-დაკვალიანებულნი არიან ჩვენი სახელოვანი სამბისტები: ევროპის ხუთგზის და მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი უშანგი კუზანაშვილი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი მამუკა კურდღელაშვილი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი ნუკრი გაგნიაშვილი და სხვა მრავალნი. ამიტომაც არის, რომ მაყურებელი და გულშემატკივარი არასოდეს მოკლებია მის სახელზე გამართულ ასპარეზობებს. ასე იყო ამჯერადაც. ტურნირს მისი ორგანიზატორების – საგარეჯოს სპორტგაერთიანების (დირ: გიორგი მაისურაძე) ხელმძღვანელებთან და მუშაკებთან ერთად ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები, მსოფლიოს ხუთგზის და ორგზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, როინ ყორღანაშვილის აღზრდილი უშანგი კუზანაშვილი და სხვა ვეტერანი თუ მოქმედი ფალავნები.

რაც შეეხება თვითონ ტურნირს, მასში მონაწილეობის მისაღებად საგარეჯოში ჩამოვიდნენ აზერბაიჯანისა და საბერძნეთის (სალონიკი), სპორტული საზოგადოებების , კახეთის, ქვემო ქართლის, გორის, თბილისის ხუთი, მარტყოფის, მარნეულის ბოლნისის სპორტული საზოგადოებების მოჭიდავეები. სულ მასპინძლებთან ერთად ტურნირში ჩაება 1997-98-99 წლებში დაბადებული 250-მდე მოჭიდავე.

ასპარეზობას მთავარი მსაჯის რანგში სჯიდნენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, ჩვენი თანამემამულე მამუკა კურდღელაშვილი და ქართლოს თედიაშვილი.

ორდღიან ასპარეზობაში ჩვენი რაიონი ასახელეს და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 38 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან ხაბარელი და ამირან დარბაისელი (46 კგ წონით კატეგორიაში), ტურნირის ვერცხლის პრიზიორობა იზეიმეს გუგა მღებრიშვილმა (46კგ), ბექა ტერტერაშვილმა (60კგ) და ელდარ ჯიქიძემ (81კგ). ბრინჯაოს სინჯის მედლები მოიპოვეს ილია ბაბაკიშვილმა (30 კგ), ნოდარ ქურხულმა (35კგ), დავით ქურხულმა (42კგ), ბეჟან ხოზრევანიძემ (50კგ) და ოთარ გურგენიძემ (81კგ). აღნიშნულ პრიზებთან ერთად ჩვენი გამარჯვებული სპორტსმენები სხვა ჯილდოებითაც დაჯილდოვდნენ: , 60 კგ წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილზე გასული ბექა ტერტერაშვილი მიშა სვიმონიშვილის მიერ დაწესებული პრიზით – კიმანოთი დაჯილდოვა კახა ყორღანაშვილმა, დამატებით მამუკა კურდღელაშვილმა კარგი ჭიდაობისათვის ფულადი ჯილდოები გადასცა ლევან ხაბარელს, გუგა მღებრიშვილსა და ამირან დარბაისელს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

1-2 ივნისს ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში (1993-94-95წწ) ჭიდაობა ძიუდოში. ჩემპიონატზე ორმა საგარეჯოელმა ძიუდოისტმა შეძლო მესამე საპრიზო ადგილების დაკავება. ესენი არიან: ზაზა როსტომაშვილი (60კგ) და ზაურ მამარდაშვილი (81კგ).

აქვე ძიუდოს გარეჯელ გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ 21-23 ივნისს ტალინში ტარდება ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში 1996-97 წლიან ჭაბუკებში, სადაც საასპარეზოდ ემზადებიან ჩვენი ფალავნები: თამაზ კირაკოზაშვილი და ირაკლი კუპატაძე.

ვნახოთ, როგორ გაუმართლებთ მათ ამ ასპარეზობაზე.

გივი დაბახიშვილი

წმიდა სპირიდონი, ტრიმიფუნტელი მეპისკოპოსი, საკვირველთმოქმედი (დასასრული. 348)

წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის უხრწნელი მარჯვენა საქართველოს სტუმრობდა ამ დღეებში. მის თაყვანისსაცემად და მისგან მადლის ასაღებად მისული მრევლი საათობით იდგა რიგში სიონის, სვეტიცხოველის, ბოდბის ეკლესიებში. წმინდა სპირიდონი მსოფლიო მართლმადიდებლობისმართლმადიდებლური ეკლესიების, თითოეული მართლმადიდებლის მფარველი და შემწეა. იგი მართლმადიდებლურ ქვეყნებს იცავს მწვალებელთა და ერეტიკოსებისაგან.

შეეწიოს სრულიად საქართველოს და საქართველოს თითოეულ ჭეშმარიტ მართლმადიდებელს წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ლოცვა და მისი მაკურთხებელი მარჯვენის მადლი.

წმინდა სპირიდონი დაიბადა კუნძულ კვიპროსზე, ტრიმიფუნტის ოლქის სოფელ ასკიაში, რომელიც ლევკუსიასა და ამოხოსტს შორის მდებარეობდა, დაახლოებით 250-60 წლებში. როგორც ჩანს, იმ დროსათვის საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ცხვრის ფარას მწყემსავდა, სასულიერო წიგნების კითხვა შეეძლო. იგი ბავშვობის ასაკიდანვე კეთილმორწმუნე ქრისტიანი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა უპოვართა მიმართ სიბრალულითა და სტუმართმოყვარეობით.

წმინდა სპირიდონი დაქორწინებული იყო ერთ პატიოსან, სათნო ქალზე, რომლისგანაც ქალიშვილი შეეძინა და სახელად ირინე უწოდა. ქრისტიანი წყვილი ღმრთის მცნებებით ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, წმინდა სპირიდონის მეუღლე ადრევე გარდაიცვალა და წმინდანს თავად მოუხდა ქალიშვილზე ზრუნვა.

სპირიდონი მღვდლად კურთხევამდე (305 წ.) მრავალი წელი იყო კატორღაზე მაღაროებში, სადაც ბევრი ტანჯვა გადაიტანა.

წმინდა სპირიდონი სამაგალითო სასულიერო პირი იყო. ეპისკოპოსის ხარისხში მისი სათნოებები გამრავლდა. ანგარება და სულმდაბლობა მისთვის სრულიად უცხო იყო. მუდმივ, მძიმე ღვაწლს იგი სიწმინდისაკენ მიჰყავდა. სიცოცხლის ბოლომდე წმინდა სპირიდონის თავსაბურავი იყო უბრალო, ფინიკის რტოებისგან დაწნული მწყემსის ქუდი, რომელიც ბავშვის ქუდის მაგვარია.

წმინდა სპირიდონი ეპისკოპოსად 325 წელს დაადგინეს და როგორც ტრიმიფუნტის ეპისკოპოსი, პირველ მსოფლიო კრებაზე მიიწვიეს. მანაც

მიიღო ეს მოწვევა, რათა ემხილებინა და დაეგმო არიოზის მწვალებლობა. კრება 325 წლის 20 მაისს დაიწყო. მასში, ეკლესიის 318 ღმერთშემოსილი მამის გარდა, კონსტანტინე დიდის მიერ გამოცემული სამეფო დეკრეტის საფუძველზე, მონაწილეობდნენ საქვეყნოდ აღიარებული ფილოსოფოსებიც. მათ შორის იყო სახელგანთქმული რიტორი, არიოზის მიმდევარი - ევლოღიც. არიოზის მიერ იერარქთა არგუმენტების გამომწვევად და მოხერხებულად მოგერიებამ განარისხა წმინდა სპირიდონი. იგი, ანთებული ჭეშმარიტი დოგმატებისადმი სიყვარულით და აღჭურვილი ღმრთისადმი რწმენითა და სასოებით, აუდელვებლად აღუდგა წინ ევლოღის. ზოგიერთი მართლმადიდებელი მას ურჩევდა, კამათში ღრმად არ შესულიყო, მაგრამ წმინდანი მტკიცე რწმენით ჩაება დიალოგში და ევლოღი მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოაქცია. წმინდა სპირიდონს თავადაც ურყევად სწამდა და სხვებსაც ასე ასწავლიდა, რომ მწვალებლობა არასოდეს მიიყვანს თავის მიმდევრებს ღმრთის სასუფეველამდე, რადგან იგი წმიდა სამებისაგან განდგომაა.

საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, იმისათვის, რომ წმინდა სპირიდონს დაეცვა და თვალსაჩინოდ ეჩვენებინა წმიდა სამების შესახებ სწორი სწავლება, აგური აიღო და ხელი მაგრად მოუჭირა, რის შედეგადაც ხელს ზემოთ ცეცხლის ალი ავარდა, ქვემოთ - წყალი ჩამოიღვარა, ხოლო მის კურთხეულ ხელში კი თიხა დარჩა. ამასთანავე წმინდა სპირიდონმა განმარტა, რომ, როგორც აგურში თანამყოფობენ ცეცხლი, წყალი და თიხა, ასევე თანამყოფობენ წმინდა სამებაში მამა, ძე და სულიწმიდა.

არიანელები იძლივნენ და მამებმა მრწამსის პირველი შვიდი პუნქტი დაადგინეს. კრება მართლმადიდებელთა და მათი უშიშარი მცველის - წმინდა სპირიდონის გამარჯვებით დასრულდა, რაც, ყველაფერთან ერთად, განაპირობა მის მიერ მოხდენილმა სასწაულმაც, რომელსაც ეკლესია ტროპარში უგალობს: „გამოსჩნდი შენ მბრძოლად მწვალებელთა პირველსა შინა კრებასა და საწაულთმოქმედ-იქმენ, ღმერთშემოსილო სპირიდონ, მამაო ჩუენო...". პირველი მსოფლიო კრების დასრულების (ჩვ.წ. 325 წ.) შემდეგ წმინდა სპირიდონის ერთადერთი ქალიშვილი - ირინე გარდაიცვალა. ეს ამბავი წმინდანმა ნიკეიდან ტრიმიფუნტში დაბრუნებისთანავე შეიტყო და, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ მიწიერი ცხოვრება მხოლოდ მარადიული, ზეციური ცხოვრებისათვის სამზადისია, მწუხარება ქრისტიანულად მიიღო და გადაიტანა.

ერთხელ მასთან ერთი მიწათმოქმედი მივიდა პურის სასესხებლად იმ პირობით, რომ მოსავლის აღების დროს ჩაასესხებდა. ვაჭარმა ფული მოსთხოვა. მიწათმოქმედი ატირებული მიადგა წმიდა სპირიდონს, რომელმაც იგი დაამშვიდა და სახლში გაგზავნა. მეორე დილას კი მთელი ზოდი ოქრო თავად მიუტანა და უთხრა: „წაუღე ეს ოქრო ვაჭარს და გამოართვი იმდენი პური, რამდენიც გსურს, ხოლო რაცა მოსავალს აიღებ, პური ჩაასესხე და ოქრო უკან მოიტანეო". როდესაც მიწათმოქმედმა მას ოქრო დაუბრუნა, წმიდა სპირიდონმა მიუგო: „წავიდეთ, ძმაო, და ეს ოქრო კვლავ მას დავუბრუნოთ, ვინ იგი გვიბოძა". ისინი ბაღში შევიდნენ. წმიდანმა ოქრო მიწაზე დადო და ილოცა: „უფალო ჩემო, იესო ქრისტე, რომელმან ყოველივე შენი ნებით ქმენ, რომელმან ფარაონის თვალწინ მოსეს კეერთხი გველად აქციე, ინებე, რათა ეს ოქრო ისევ იმ ცხოველად იქცეს, რომელიც შენ ოქროდ გარდაჰქმენ". ამ სიტყვებზე ზოდი შეინძრა და გველად იქცა, რომელიც სწრაფად გასრიალდა. ამის შემხედვარე მიწათმოქმედმა კანკალი დაიწყო, მიწაზე დაეცა და იძახდა: მე ამ სასწაულის ხილვის ღირსი არა ვარო.

ერთხელ, უმთვარო, ღრუბლიან ღამეს, საქონლის ბაგაში ქურდები შეიპარნენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა სპირიდონი სახლში არ იმყოფებოდა, ქურდებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ღმერთმა იზრუნა თავის სამწყსოზე. მაინც რა მოხდა? ქურდები ზეციური ძალის მიერ უხილავი თოკებით შეიკრნენ. მათი მცდელობა, როგორმე დაეღწიათ თავი ტყვეობისაგან, უშედეგო აღმოჩნდა. გამთენიისას წმინდანიც დაბრუნდა და ბაგაში შევიდა. იქ კი მაგრად გაკოჭილი ქურდები ნახა. სანამ გაუშვებდა, ქრისტეს სიტყვისაებრ - „ციყვარდედ მტერნი თქუენნი" (მათე 5,44) - მშვიდად დაარიგა, მთელი ღამის უძილობით დატანჯულებს საჩუქრები დაურიგა და მამობრივი სიყვარულით გაისტუმრა.

სანამ ანტიოქიას დატოვებდა, წმინდანმა კიდევ ორი სასწაული მოახდინა. ერთ ქალს მან გარდაცვლილი შვილი მკვდრეთით აღუდგინა. როცა ცოცხალი შვილი იხილა, უსაზღვრო სიხარულისაგან დედაც გარდაიცვალა. ქალის მეზობლებმა წმინდანს ვედრება დაუწყეს, რათა მას დედაც აღედგინა. წმინდანმა უპასუხა: ღმრთისაგან ძალზე ბევრს ვთხოულობთო; მაგრამ გულგრილი მაინც ვერ დარჩა, მუხლმოდრეკილმა მოწყალე ღმრთის მიმართ მხურვალედ ილოცა და გარდაცვლილი ქალიც გაცოცხლდა. მკვდრეთით აღმდგარი დედა-შვილი ადიდებდა ღმერთს და მადლობდა წმინდა სპირიდონს.

ერთხელ, მკის სეზონზე, როდესაც წმინდანი სხვებთან ერთად მინდორში მუშაობდა, მიუხედავად კარგი, მზიანი ამინდისა, უეცრად მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა. წვიმის წვეთები მხოლოდ წმინდა სპირიდონს ეცემოდა თავზე და ასველებდა. წმინდანის თმა მოულოდნელად სამ ფერად: თეთრად, შავად და ოქროსფრად შეფერადდა. გარშემო მყოფები გაოცდნენ, მაგრამ წმინდანმა აუხსნა: „მეგობრებო, გაუწყებთ, რომ მალე ჩემი სული სხეულს დატოვებს. ღმერთი ჩემი გარდაცვალების დღეს განადიდებს და გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამ დღეს ზეიმით აღნიშნავენ". მართლაც, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღმრთის მადლით ეს ყოველივე ახდა და საუკუნეების მანძილზე მისი სახელი სხვა წმინდანებთან ერთად განიდიდება.

წმინდა სპირიდონი აღესრულა ქრისტეშობიდან 348 ან 350 წელს. იგი ჯერ დაკრძალეს ქ. ტრიმიფუნტის მოციქულთა სახელობის ტაძარში, შემდეგ კონსტანტინეპოლში გადააბრძანეს, შემდეგ გამოაცალკევეს მისი მარჯვენა ხელი და მტევანიზ, რომელიც შემდეგ რომის პაპს კლიმენტი მერვეს გაუგზავნეს, უხრწნელი სხეული კი კერკირაზე ჩააბრძანეს. გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მისი სხეული საფლავიდან ამოაბრძანეს. საფლავის გარშემო არნახული კეთილსურნელება იდგა. უფალმა კეთილმორწმუნე მრევლს წმინდანის უხრწნელი სხეული მიჰმადლა და მათაც შესაფერისი პატივი მიაგეს მას და ტაძარს მისი სახელი მიანიჭეს. მისი უხრწნელი სხეული სასწაულთმოქმედების ძალას დღემდე ინარჩუნებს.

მართლმადიდებელი ეკლესია წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღეს ძვ.სტ. 12 დეკემბერს/ახ.სტ. 25 დეკემ. აღნიშნავს. წმინდა მღვდელთმთავარს ეკლესია ყველიერის შაბათსაც იხსენებს (ხს. ყოველთა ღირსთა მამათა, ღუაწლით გაბრწყინვებულთა)

წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის უხრწნელი სხეული, რომელიც დაბრძანებულია სარკოფაგით ქ. კორფუს მთავარ ტაძარში, კუნძულის უდიდეს სიწმიდეს წარმოადგენს, მფარველმა წმინდანმა მრავალჯერ იხსნა კუნძული სხვადასხვა განსაცდელებისგან: ოთხჯერ სტიქიური უბედურებისგან, ორჯერ შავი ჭირისაგან, ერთხელ შიმშილისაგან, და ერთხელაც თურქთა შემოსევისაგან. კუნძული კერკირა იყო საბერძნეთში ერთადერთი ტერიტორია, რომელიც თურქებმა ვერ დაიპყრეს. 1716 წ. თურქთა ურიცხვ ლაშქარს, რომელიც კუნძულის დაპყრობას აპირებდა, ცაში, კუნძულის თავზე გამოეცხადათ ბერი, რომელსაც ხელთ ცეცხლოვანი მახვილი ეპყრა. შეშინებულმა თურქებმა სასწრაფოდ დატოვეს ის ტერიტორია და მხოლოდ შემდეგ შეიტყვეს, რომ კუნძულის მფარველი წმ. სპირიდონი იყო. კუნძულ კერკირას მოსახლეობამ თავისი წმინდა მფარველისადმი მადლიერების გამოსახატავად დააწესა ლიტანიები (წმინდანის უხრწნელ სხეულს მინის ლუსკუმით გამოაბრძანებენ და კუნძულს შემოატარებენ), რომლებიც დღემდე არ შეუწყვეტია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოთხი ლიტანია, რომლებიც თავისი ორგანიზებულობითა და ხალხმრავლობით ყველაზე გამორჩეულია მთელს ბერძნულ სამყაროში. მორწმუნეები მათზე დასასწრებად არა მხოლოდ საბერძნეთის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან. ყველანი გაოცებული რჩებიან წმინდანის უხრწნელი სხეულის ხილვით. ტრადიციის მიხედვით, ლიტანიის დროს მღვდელი ხელს ჩაჰკიდებს ხოლმე წმინდა სპირიდონის უხრწნელ ხელს და ასე დაჰყვება წმინდანს მსვლელობის დასრულებამდე; და ეს 300 წლის მანძილზე ყოველწლიურად ხდება. ცხადია, რომ უხრწნელობას წმინდანის სხეული მხოლოდ მისი სასწაულებრივი თვისებების გამო ინარჩუნებს. წმინდანის სხეულს აკლდა მარჯვენა მტევანი, რომელიც 1984 წლის 10 დეკემბერს მიტროპოლიტ ტიმოთესა და მისი წინამორბედის - ნეტარხსენებული პოლიკარპეს მოწადინებით რომიდან კერკირაზე გადმოაბრძანეს.

წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სხეული თბილია და მუდმივად 36.6 ტემპერატურას ინარჩუნებს. მისი უხრწნელი სხეული ყოველთვის იწვევდა მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ფიზიოლოგების გაოცებასა და აღტაცებას. ემანუელ თეოტოკისი კერკირას ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნში წმინდანის უხრწნელი სხეულის შესახებ წერს: "(სხეული) რბილი და ელასტიურია, გამოსცემს კეთილსურნელებას, იგი უხრწნელია. როდესაც მის სხეულს ლიტანიობისას მინის ლუსკუმით გამოაბრძანებენ, წმინდანის სახის ნაკვთები ფართოვდება". სხეული დღესაც უხრწნელად ინახება. სხეული ცოცხალივით გამოიყურება, თითის შეხებისას იზნიქება და შემდეგ ისევ სწორდება. წელიწადში 3-4-ჯერ უცვდება ფაჩუჩი, ის მიდის ყველასთან, ვისაც სწამს მისი და მას მოუხმობს დასახმარებლად. წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელს აცმევენ აბრეშუმის, ოქრომკედით ნაქარგ ფაჩუჩებს, რომელსაც ყოველ წელიწადს 3-4-ჯერ უცვლიან, რადგანაც გაცვეთილი ხვდებათ ხოლმე. ამ ფაჩუჩებს ანაწილებენ მორწმუნე მრევლში.

უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით კრწანისის ტერიტორიაზე ღმრთისმშობლის „ღირს არსის" ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ტაძარი აშენდა. ტაძრის მშენებლობა 2008 წლის მაისში დაიწყო და შემოწირულობების წყალობით თითქმის ერთ წელიწადში დასრულდა. ეკლესია ჯვარგუმბათოვანი სტილისაა და ქართული წითელი აგურით არის ნაშენები. გამორჩეულია ტაძრის გუმბათი, რომელიც წმინდა სპირიდონის ქუდის იდენტურია და მის ფორმებს იმეორებს. ტაძარში წმინდანის სასწაულმოქმედი ხატი და ფეხთსამოსელია (ფაჩუჩი) დაბრძანებული. წმინდანის ფაჩუჩი საგანგებოდ ამ ტაძრისთვის ათონის წმინდა მთიდან ჩამოაბრძანეს. აქვე აშენდება კელიები, სადაც მონასტერში მოღვაწე მამები დაიდებენ ბინას.

ფელეტონის მაგიერ

აზიელები ვართ თუ ევროპელები?

მოგვეჭრა თავი მთელ ევროპაში და ეგაა.

ვინღა მიგვიღებს ახლა ევროკავშირში ან ნატოში.

მერე როგორ ახლოს ვიყავით მასთან – მშვიდობიანად რომ ჩაევლო ლგბტ-ს მხარდამჭერთა აქციას, ხომ კიდევ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდებოდით სანატრელ ევროპას.

რა გაუნათლებელი ხალხი გვყოლია საქართველოში – რომ ჰკითხო ყველას ევროპელობა უნდა, მაგრამ ევროპელობა რას ნიშნავს არ გვცოდნია თურმე.

არადა მთელი ცხრა წელი გვასწავლიდა ჩვენი დიდი „„მაღალი, უხვი მდაბალი, ლაშქარ მრავალი" პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპული ცხოვრების წესს, გვასწავლიდა, მაგრამ რა გინდა, უნიჭო მოსწავლეები გამოვდექით.

თუ ასე არ არის, გულზე ხელი დაიდეთ და საკუთარ თავს უთხარით, რას ნიშნავს ლგბტ?

არ იცით, ხომ?

სირცხვილი თქვენ, ევროპელობა გინდათ და ეს არ უნდა იცოდეთ? თანაც იქნებ კარგი რამეა და რატომ ებრძვით?

მეც არ ვიცოდი და ბევრი კითხვა-ძიების შედეგად დავადგინე, რომ თურმე ეს აბრევიატურა ნიშნავს: ლესბოსელებს, გეი-ებს, ბისექსუალებსა და ტრანსსექსუალებს.

არ მითხრათ ეხლა, თითოეული ეს რას ნიშნავს არც ეგ ვიცითო, თორემ ხომ სულ მოგვეჭრა თავი, ამიტომ ვინც არ იცის მათთვის ვიტყვი, ხოლო ვინც იცის შევახსენებ: ლესბოსელები ის ქალები არიან, ვისაც მამაკაცის მაგივრად ქალთან ურჩევნიათ ურთიერთობა (დეტალებს ნუ მომთხოვთ, ყველაფერი მეც არ ვიცი), გეი-ები იგივე ჰომოსექსუალები, ანუ ქართულად რომ ვთქვათ მამათმავლები ყოფილან, ბისექსუალები თურმე არც მამაკაცზე ამბობენ უარს და არც ქალზე, ხოლო ბოლო კატეგორია ჩვენთვის მართლაც „ახალი ხილია" და ისეთ ადამიანებს გულისხმობს, ვისაც სქესი შეუცვლია, ან ამის სურვილი აქვს.

ხედავთ, რამდენი რამე არ გვცოდნია, ჩვენ კი პირდაპირ მოვინდომეთ ევროპელობა. მაგრამ ევროპას რას მოატყებ, მაპი მათი მოგონილი არ არის?! ჩვენ კიდევ მაპიც რომ არ მოგვცეს, ხვდებით, რა შორს ვყოფილვართ ევროპელობისაგან?

ზოგს ახლაც რომ ჰკითხო ევროპელობა მარტო კარგი ცხოვრება, კარგი ხელფასები, მაღალი პენსიები და უმუშევრებისათვის მსუყე დახმარებებია, არადა იქ თურმე სხვა რამესაც მიიჩნევენ აუცილებლად – მაგალითად სექსუალური უმცირესობის უფლებებს.

ჰოდა რადგანაც ევროპაში გვინდა, ჩვენმა პატრიოტმა ადამიანებმა ევროპელებისთვის რომ დაემტკიცებინათ, ჩვენც ცივილიზებული ერი ვართ, გადაწყვიტეს ლგბტ-ის დამცავი აქცია მოეწყოთ. თანაც, როგორც ავი ენები ამბობენ, ასეთ აქციებს ვიღაც-ვიღაცეები კარგად აფინანსებენო. იმასაც ლაპარაკობენ, იმ აქციის მონაწილეთა უმეტესობა სექსუალური უმრავლესობის წარმომადგენელი ყოფილა და იქ მხოლოდ ზემოთნახსენები პატრიოტული მიზნით მისულა. მაგრამ რა გინდა, გაუნათლებელმა ქართველებმა ისეთი დღე აყარეს, ევროპელებს თურმე თავი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ეგონათ.

რა გვეშველება ეხლა?

ამის მერე აქცია კი არა, ყველა სოფელშიც რომ მოვაწყოთ გეიაღლუმი სექსუალური აქტების დემონსტრაციით, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაში ხდება, ეჭვიან ევროპელებს დაჯერებ, რომ გამოვსწორდით და ამის მერე წესიერად მოვიქცევით?

ხომ დავშორდით ევროპას 5-10 წლით.

ჰო და, სანამ რამეს გააკეთებ, ჯერ დაფიქრდი რაღა?!

ან გგონიათ, სხვა საფრთხეები აღარ გველოდება? ევროპელმა ზოოფილებმა რომ შეიტყონ, როგორ ექსპლოატაციას უწევენ კახეთში ვირებს, (შეშის ზიდვას ვგულისხმობთ, სხვა არაფერი იფიქროთ) მიგვიღებენ განა ევროპაში?

თუმცა ვინ იცის, მაგათსას რას გაიგებ წინასწარ, რა ეწყინებათ და რა გაუხადებათ.

ეეჰ, თურმე რამდენი რამ გვქონია სასწავლი და ასათვისებელი, ევროპელობას რომ მივაღწიოთ.

ზურაბ აბულაშვილი

ვილოცავთ

დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულებას ვულოცავთ ჩვენს თანაქალაქელს, რაიონის მოამაგესა და დიდ გულშემატკივარს, ისტორიკოსს, იურისტსა და რამდენიმე წიგნის ავტორს ბატონ **ნუგზარ გურჯიძეს.** ბ-ნი ნუგზარი ათეული წლებია საგარეჯოს საზოგადოების იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების არსით, ყოველდღიურობით საქართველოს, რაიონის სისხლსავსე ცხოვრებაშია ჩართული – აღელვებს ის საკითხები, რომლებიც საზოგადოების პრობლემად ქცეულა, სტკივა ქვეყნის საწუხარი და უზომოდ უხარია ყოველივე ქართული. კარგი მოუბარი, შეუცვლელი მეგობარი, მჭერმეტყველი თამადა, უღალატო ადამიანი – ასეთად იცნობენ მას არა მარტო საგარეჯოელები.

თქვენ თქვენი ადამიანობით, პიროვნული ღირსებებით მართლაც რომ დაიმსახურეთ დიდი სიყვარული და პატივისცემა, ბატონო ნუგზარ! გილოცავთ დაბადების დღეს. იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, იხარეთ თქვენს ლამაზ შვილიშვილებთან, შვილებთან ერთად.

თანამოქალაქენი

ჩვენს საყვარელ ბებოს **გოგუცა ექვთიმიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს და თავისი ხანგრძლივი და წარმატებული შრომისათვის დამსახურებულად მთავრობის მაღალი ჯილდოს – ღირსების ორდენის მიღებას.

შენი გვესმის, ბებო, თუ როგორი მძიმე, ტკივილიანი გულით ცხოვრობ, მაგრამ ჩვენ ხომ გყავართ, ამიტომ დიდხანს იცოცხლე და ჯანმრთელად იყავი. შეგიძლია ჩვენით იამაყო.

შვილიშვილები – თამუნა, დათუნა, გიგა და დაჩი

სოფელი კაკაბეთი

„პირველი მერცხლები“

პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირების რაიონულმა ორგანიზაციამ მუშაობა განაახლა.

როგორც ცნობილია 2010 წლის მაისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ უკანონოდ შეუჩერა საქმიანობა ქვეყნის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირებს და მათ შორის საგარეჯოს რაიონულ ორგანიზაციასაც და აი, თითქმის სამი წლის შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობის მოსვლის შემდგომ, მიმდინარე წლის თებერვლიდან აღნიშნულმა პროფკავშირებმა მუშაობა განაახლა. 29 მაისს კი, ქვეყანაში პირველი კონფერენციის ჩატარების პატივი საგარეჯოს ერგო. საგარეჯოში ჩატარდა პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია,(რომელიც ამ ორგანიზაციისათვის რიგით მეექვსეა. აღსანიშნავი გახლდათ დელეგატთა მაქსიმალური დასწრებით (71 დელეგატი 78 წევრიდან) რომელთაც თავიანთ თავკაცად კვლავ ერთხმად აირჩიეს ბ-ნი რომან ზუკაკიშვილი, მის მოადგილედ კი ბეჟან სურმანიძე.კონფერენციამ ასევე აირჩია ორგანიზაციის სარევიზიო კომისია.

როგორც ჩვენთან კონფერენციის შემდეგ საუბარში ახლადარჩეულმა პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის თავჯდომარემ აღნიშნა, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების რაიონულ ორგანიზაციაში უკვე გაწევრიანებულია მუნიციპალიტეტის სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულების აბსოლიტური უმრავლესობა. რაც შეეხება ორგანიზაციის ამოცანებს, ეს კვლავ იქნება პედაგოგთა ხელშეწყობა და დახმარება, მათი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში, უფასო იურიდიული დახმარება სამართლებრივი საკითხების მოგვარება და სხვა.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის კონფერენციას ესწრებოდა ცენტრალური ოფისის აპარატის უფროსი ლალი გოგიჩაიშვილი

გივი დაბახიშვილი

პრესრელიზი

ბიო-მეურნეობის განვითარება კახეთის რეგიონში

31 მაისს, საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია თემაზებიო-მეურნეობის განვითარება კახეთის რეგიონში.

შეხვედრას უძღვებოდა სოფლის მეურნეობის ექსპერტი დავით ჩაჩანიძე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციოსამსახურის უფროსი ნიკოლოზ ჯავახიშვილი. დისკუსიაში ასევე მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ფერმერები და რიგითი მოქალაქეები.

შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებები და სტრატეგიები. ექსპერტებმა ისაუბრეს ბიო-პროდუქციის წარმოებასა და მათი გასაღების ბაზრებზე. დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პრიორიტეტებისა და მოთხოვნების შესახებ.

ქეთი სიბაშვილი

ბრიგოლ რევაზიშვილი

დაიბადა საგარეჯოში 1922 წლის 26 აგვისტოს რკინიგზის მუშის ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა საგარეჯოს №1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1940 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა დასავლეთ უკრაინაში საზღვართან, სადაც 1941 წლის ივნისის დასაწყისში დაიჭრა დესანტის ერთ-ერთ ჯგუფთან შეტაკების დროს. სამხედრო ჰოსპიტალში ჩატარებული მკურნალობის შემდეგ გაუშვეს სახლში ორთვიანი შვებულებით. 22 ივნისს დაიწყო ომი და გრიგოლ რევაზიშვილმა ითხოვა კვლავ თავის ნაწილში დაბრუნება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ომის პირველივე დღეებში მისი ნაწილი მტერს გაენადგურებინა. ჩაირიცხა 224-ე მსროლელ დივიზიაში. მონაწილეობდა ქერჩის ბრძოლებში, სადაც 1942 წლის აპრილში ტყვედ ჩავარდა მისი ნაწილის განადგურების შემდეგ. 1944 წლის გაზაფხულამდე იმყოფებოდა პოლონეთში ტყვეთა ბანაკში, სადაც გაწევრიანდა ანტიფაშისტურ ორგანიზაციაში „სვობოდა“. შემდეგ გადაიყვანეს საფრანგეთში, ქ. კასტრში, სადაც „სვობოდას“ წევრები დაუკავშირდნენ ფრანგ პარტიზანებს და 1944 წლის მაისში მათი დახმარებით ტყვეობიდან გაიქცნენ. ამის შემდეგ გრიგოლ რევაზიშვილი მონაწილეობას იღებს საფრანგეთის განმათავისუფლებელ ბრძოლებში ფრანგ პარტიზანებთან ერთად.

ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის აგვისტოში გადმოლახა საზღვარი, მაგრამ „ფილტრაციის“ შედეგად სახლში არ გამოუშვეს და 1 წელი მუშაობდა სტალინგრადის აღდგენით სამუშაოებზე. საქართველოში დაბრუნდა მხოლოდ 1946 წლის აგვისტოში, განაგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1950 წელს და მუშაობას იწყებს საგარეჯოს №1 საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. დაოჯახდა 1947 წელს თინათინ მეზვრიშვილზე, შეეძინათ ვაჟი. ტყვედნამყოფი, ფრანგ პარტიზანებთან ნაბრძოლი და შემდეგ სტალინგრადის მშენებლობის მონაწილე კაცის ცხოვრება თითქოს ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ... 1951 წლის 25 დეკემბრის შუაღამისას მთავრობის დადგენილებით მეუღლესთან და სამი წლის შვილთან ერთად გაასახლეს სამხრეთ ყაზახეთში.

გამოსათხოვარი

გადასახლებიდან დაბრუნდა სტალინის სიკვდილის შემდეგ – 1953 წლის აგვისტოში და მას შემდეგ იღვწოდა საგარეჯოს ახალგაზრდობის სწავლა-განათლების ფრონტზე. შეეძინა ქალ-ვაჟი. 1961-1968 წლებში მუშაობდა საგარეჯოს მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორად. მიღებულ;ი აქვს არაერთი საპატიო სიგელი, ჯილდო და მედალი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ამაყობდა თავისი წარსულით. მან ხომ არაერთხელ გადადგა სახიფათო ნაბიჯი სიცოცხლის რისკის ფასად. მაგრამ გაუმართლა ათიათასობით ადამიანისგან განსხვავებით და გადარჩა, გადარჩა იმისთვის, რომ კვლავ ემსახურა ხალხისთვის, ოჯახისათვის, რაიონისათვის. წავიდა 90 წლის ასაკში დამსახურებული და ღვაწლმოსილი.

საგარეჯოელები

„ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია“

გურამ დავითელაშვილი

2004 წლის ივნისის იმ საბედისწრო ღამეს სამუდამოდ დაესვა წერტილი შენი ამქვეყნად ყოფნის სილამაზეს, ჩვენო გურამ! შენ სხვანაირი სიყვარული იცოდი – დისთვის განუმეორებელი ძმა იყავი, ბიძაშვილებისა და მამიდაშვილების, დეიდაშვილებისათვის ურყევი იმედი და საყრდენი, მშობლებისათვის ძლიერი ნერგი, რომელსაც კეთილი ნაყოფი უნდა გამოეღო. ნაყოფი – შენი ანი სულ პაწაწინა დატოვე, ახლა უკვე დიდია, კარგად იცის უმამობის, შენგან უქომაგობის, უშენობის ნაღველი – შენ სხვანაირად შეგეძლო მისი პატრონობა, მოფერება, მზრუნველობა...

წუხს უშენობას შენი სამეგობრო, რომლებიც შენგან დიდ სითბოს, სიყვარულს და თანადგომას გრძნობდნენ. ეს ცხრა წელიწადი შენი მონატრების, შენზე ტკივილის, შენზე მოგონებებითაა დატვირთული. ჩვენ სხვანაირები ვიქნებოდით შენთან ერთად, ჩვენო გურამ, უფრო ამაყები, უფრო თამამები, გალაღებულები და გახარებულები, რადგან ჩვენს გვერდით იქნებოდი იმედად და სიყვარულად.

9 წელი გავიდა მას შემდეგ. ამ პერიოდში შენ ბიძაც გახდი – ორი თვალხატულა დისშვილის და ჩვენ შვიდი თვის გურამ დავითელაშვილიც გვყავს – პატარა გუკა, რომელიც შენს სახელს ატარებს და გულს გვიხარებს, რომ შენი სახელი ისევ ხმინობს ჩვენს გვარში.

იძინე ტკბილად, ჩვენო საყვარელო ბიძაშვილო, გურამ!

გიორგი და სანდრო
დავითელაშვილები

პირუტყვის თურქულზე აცრა საგალდებულოა

10 ივნისიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში დაიწყო საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული მსხვილი და წვრილფეხა პირუტყვის პროფილაქტიკური დამუშავება თურქულზე. ეს საქმე პირველად სოფელ მანავის გორხანის უბნიდან დაიწყო, სადაც პირველივე დღეს 500 სულზე მეტი აიცრა. როგორც ჩვენთან ამ საკითხზე საუბარში ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის საგარეჯოს სამსახურის სპეციალისტმა*** **ნონა ბუზარიაშვილმა** აღნიშნა, ეს არის ქვეყნის მთავრობის სამწლიანი პროგრამა, რომლის განხორციელება შარშან დაიწყო და გაისადაც გაგრძელდება. თურქულზე პირუტყვი აიცრება მუნიციპალიტეტის აბსოლუტურად ყველა სოფელში, ზემო ზონის სოფლებიდან დაწყებული, ქვემო ზონის სოფლების ჩათვლით. ასევე, აბსოლუტურად აიცრება მოსახლეობის პირუტყვი დაწყებული 4 თვის ასაკიდან და ზევით. სამსახურს უკვე მიღებული და შემოტანილი აქვს 17650 სულზე გათვლილი ვაქცინა. რესპოდენტის განმარტებით, ამ დროისათვის აიცრება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახის პირუტყვი, მათ შორის ახლო – ცივ-კოდის მიდამოებში არსებული პირუტყვი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ გასულ მსხვილფეხა და წვრილ ჩლიქოსნებს, მათ აცრაზე იზრუნებენ ადგილმდებარეობის შესაბამისი ვეტერინარული სამსახურები.

როგორც ცნობილია თურქულზე აცრებს წინ უძღოდა ჯილეხზე (ციმბირის წყლული) აცრები. აიცრა გარკვეული სულადობის მოსახლეობის პირუტყვი, რამაც მოსახლეობის გაურკვევლობა გამოიწვია.

სპეციალისტ ნონა ბუზარიაშვილის განმარტებით, აცრები ჯილეხზე ჩატარდა იმ სოფლებში, სადაც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ამ დაავადების ფაქტები დაფიქსირდა, იქ კი, სადაც ადგილი არ ჰქონია მსგავს შემთხვევებს, საქონელი ციმბირის წყლულზე არ აცრილა. კერძოდ, აიცრა სოფლების: შიბლიანის, თულარის, ლამბალოს, ნინოწმინდის, პატარძეულის, „მედიკოს წყლის“ მიდამოებში არსებული პირუტყვი, სადაც წინა წლებში ეს დაავადება იყო დაფიქსირებული. ასევე, იძულებითი აცრა ჩაუტარდა უდაბნოს „თავზე“ არსებულ პირუტყვს, სადაც წელს ამ დაავადების ფაქტები იქნა დაფიქსირებული.

გ. დაბახიშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: garejis2011@mail.ru

კაკაბეთის საჯარო სკოლის პედკოლექტივი სამძიმარს უცხადებს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ლუიზა შენგელიძეს მეუღლის

გოვენი ჯიქიძის

გარდაცვალების გამო.